სამშაბათი, 10 აპრილი 1907 წ. — წელიწადი პირველი — № 79

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით დირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევს 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

ოთხშაბათს, თერთმეტ აპრილს, ქალაქ ტფილისში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის

**ნატალია მაქსიმეს ასულის ჯაბიძის**

სულ ს მოსახსენებლად, რასაც უნუგეშოდ დარჩენილი მეუღლე განსვენებულისა **ნიკოლოოზ დავითის ძე ჯაბიძე** აუწყებს ნათესავთა, ნაცნობთა და ამხანაგთ. წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზე. (3—ნ.—2)

## ტფილისის ქალაქის გამგეობამ

შეამჩნია, რომ იმ მსხვილ მემამულეთა უმრავლესობამ, რომელთაც მამულებიც ქალაქის განაპირა ადგილებში მდებარეობს, თავიანთ ნებით ჰგეგმავენ გასასყიდად დანიშნულ მიწის ნაჭრებსა ნაძალადევსა, დიდუბესა, ავლაბარსა, ვერაზე და სხვაგან, რის გამოც მათ მიერ ქუჩებისთვის დატოვებული ადგილები არც ზომით, არც მიმართულებით არ შეეფერება იმ წესს, რომელიც მიღებული აქვს ქალაქს კანალიზაციის, წყლის მილების გაყვანის, ქუჩების მოკირწყლის და სხვა ამ გვარ საქმეების დროს. როცა მემამულეებს ქალაქის გამგეობაში წარმოუდგენიათ მიწების მოწყობ-რიგების პროექტები, გამგეობა იძულებული გამხდარა ხელ-ახლა დაეგეგმა ქუჩები; ამ საქმეს ყოველთვის დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ მაშინაც კი, რომ თვითონ მიწის ნაჭრის პატრონი მოსურნენი ყოფილან საქმის მოწყობ-რიგებისა. ხშირად პროექტის გადაკეთება იმათ ინტერესებსა და მიწის საზღვრებს შეეხებია, რომელთაც უფრო პატარა ნაჭრები უყიდნიათ.

ამის გამო ტფილისის ქალაქის გამგეობა, აცნობებს რა ამას როგორც მემამულეებს, ისე სახლების ასაგებად მიწის ნაჭრების შემძენთ, სთხოვს, **მიწის ნაჭრებად დაყოფამდე ან შენობის დაწყებამდე,** წარუდგინონ ქალაქის გამგეობას პროექტი ადგილების მოწყობ-რიგების საერთო გეგმისა ყველა პირობების აღნიშვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა პასუხს არ აგებს, თუ იმის ნება დაურთველად მოუწყობელ და დაუგეგმელ ადგილებზე დასახლებულებს მოუხდებათ შემდეგი ახალ ხარჯის გაწევა.

იმათ, ვისაც სურს შენობების აგებას შეუდგეს, გამგეობა სთხოვს წინდაწინვე წარუდგინონ დასამტკიცებლად შენობების გეგმა. ამასთან გამგეობა თავის მხრივ ყოველ გვარ დახმარებას გაუწევს ხელ-მოკლე ხალხს პროექტების შედგენაში. (2—ნ.—1)

**ელენე სვიმონის ასული და ალექსანდრე თეიმურაზის ძე გაბუნიები** უძღვნიან უღრმეს მადლობას ყველა მათ, ვინც კი წერილით, დეპეშით ან პირადის დასწრებით უთანაგრძნო მათ მწუხარებას **თეიმურაზ მიხეილის ძის გაბუნიას** გარდაცვალების გამო. (1—1)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—86)

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განის და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**კ. ი. გძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—6)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—78)

## სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიწეიდ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნფილისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. ავეტისოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. გიმონტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი
**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:
სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—50)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (33)

კბილის ექიმი
**ი. ზ. კანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუულაძისა, № 26. (25—ნ.—23)

ექიმი
**დ. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—26)

**წერა-კითხვის საზოგადოების**
წიგნის მაღაზიაში
**ი ყ ი დ ე ბ ა**
დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ
**„НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ“**
**Грузинскіе разсказы**
**Д. Ведребисели** (Д- К. Маліевой)
ფასი **ერთი** მანეთი (10—ნ.—6)

**ქართველთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ
## შემოწირულებას ფულად
მიიღებენ: გამგეობის თავმჯდომარე უგანათლ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა (სასტუმრო „ორიანტი“ 11—1 ს.), თავმჯდომარის ამხანაგი თავ. პ. ი. თუმანიშვილი (განოვის ქუჩა, საკ. სახლი 4—7 ს.) გამგეობის წევრნი: ვ. ი. რცხილაძე (საზ. „კახეთი“ ერევნის მოედანი 10—3 ს.), ა. გ. ჯაბადარი (წიგნ. გამ. ქართველთა ამხან. დიდი ვანქის ქუჩა 9—11 ს. 2½—4 ს.) გ. მ. ლასხიშვილი (რედ. „ისარი“ ელისაბედის ქუჩა სახ. მილოვისა 10—2 ს.), იაკ. ს. ღულაძე (ავლაბრის პროგიმნაზია 10—1 ს.), კნ. ელის. ირ. ჯამბაკურ-ორბელიანისა (გუდოვიჩის ქუჩა № 11. 11—1 საათზე) შიო დედაბრიშვილი (ალექსანდრეს ქუჩა № 43 3—5 ს.).
**შემოწირულ ნივთებს მიიღებენ**
საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა სახლში 11—1 საათზე. (10—უ—4)

რადგან 6 აპრილს არ შესდგა კრება იმ მოსამსახურეებისა სახელოსნოებში, რომელთაც გაწერილი ჰქონდათ 1906 წ. სამრეწველო გადასახადი,

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

იწვევს ზემოხსენებულ მოსამსახურეთ ტფილისის საბჭოში ოთხშაბათს, 11 აპრილს, საღამოს 7 საათზე, თანახმად 1906 წ. 15 ნოემბერს უმაღლესად დამტკიცებულ მინისტრთა საბჭოს დებულებისა, წარმომადგენელთა ასარჩევად იმ კომისიაში, რომელმაც სავალდებულო დადგენილებანი უნდა შეიმუშაოს შესახებ მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენებისა.

1) კრებას უნდა დაესწრნენ სახელოსნოში მოსამსახურე სრული წლოვანი, თითო კაცი თითო სახელოსნოდან, რომელიც არჩეული უნდა იყოს როგორც წარმომადგენელი ამ სახელოსნოს სრულ წლოვანთაგან.

2) წარმომადგენლებმა კრებაზე შემოსვლის დროს უნდა წარმოადგინოს მოწმობა მისი არჩევის შესახებ, რომელზედაც ხელი უნდა ჰქონდეთ მოწერილი მის ამომრჩევლებს.

3) საარჩევნო კრება კანონიერია, რამდენი ამომრჩეველიც უნდა დაესწროს მას. (1—ნ.—1)

**ქუთ. სასოფლო-სამეურნეო ამხ.**
## „კოლხიდა“
აწვდის სოფლის მეურნეთაგან **შემოწმებულ აბრეშუმის თესლს,** ცნობილ ფირმებისას; უცხოეთიდან გამოწერილ ბოსტნისა და ბალახების თესლეულობას. (**იონჯა, კოინდარი**), ხეხილების და ყვავილების ნერგებს. იქვე მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ სხვა და სხვა სამეურნეო იარაღი—მეაბრეშუმეობისა, მ ფუტკრეობისა, ბაღოსნობისა და სხვა. 15 მარტიდან კვირა-პარასკევობით ამხანაგობა გამართავს საუბარს სხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. (30—ნ.—25)

ქართველ მასწავლებელთა წრემ გადასწყვიტა გამოსცეს
## პედაგოგიური კრებული
შემდეგის შინაარსით:
1. სწავლა-განათლების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში.
2. პედაგოგიური წერილები სხვა და სხვა საკითხის შესახებ.
3. პოპულიარული წერილები მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან.
4. წერილები სხვა და სხვა ქვეყანაში არსებული მასწავლებელთა კავშირების და საზოგადოებების შესახებ.
5. წერილები პროვინციიდან.
ვსთხოვთ მასწავლებლებს და სწავლა-განათლების თანამგრძნობთ, მოგვაწოდონ შესაფერი მასალა 1 მაისამდე.
ადრესი: ტფილისი, ქართული გიმნაზია, პეტრე სურგულაძეს. (5—უ—5)

## ტფილისი, 10 აპრილი

სახალხო თავისუფლების პარტიის (კადეტების პარტია) წევრებმა ამ თვის დამდეგს სათათბიროში კავკასიის საქმეების შესახებ შეკითხვა წარადგინეს. ამ შეკითხვის შესახებ ჩვენ, კავკასიელებმა, დღემდე იმის მეტი არაფერი არ ვიცით, რაც დეპეშამ შეგვატყობინა პეტერბურგიდან. ვიცით, მაშასადამე, მხოლოდ ტექსტი შეკითხვისა და ის, რომ ჯერ იგი სათათბიროს არ განუხილავს და სამინისტროს თავმჯდომარისათვის არ გადაუციათ პასუხის მისაღებად. სააღდგომო უქმეების გამო აპრილის გასვლამდე სათათბიროს კრებები აღარ გაიმართება, მაშასადამე ეს შეკითხვა სათათბიროში მხოლოდ მაისში შეიძლება განხილულ იქმნას. გარდა ამისა, რადგან სამინისტროს ერთი თვის ვადა აქვს კანონით მიცემული პასუხისთვის მოსამზადებლად, ამიტომ არსებითად კავკასიის საქმეების შესახებ მთავრობის განზრახვათა შეტყობა მხოლოდ ივნისში იქნება შესაძლებელი და ისიც მაშინ, როცა ამ საგანს ჯერი ერგება. ივნისში უკვე ზაფხულის სიცხეები იწყება და, ვინ იტყვის, რომ პარლამენტის საზაფხულო ვაკაციები უფრო წინ არ დადგებიან, ვიდრე სათათბირო მთავრობის პასუხს მოისმენდეს.

ამ დახანებას მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, საგანი შეკითხვისა რომ რაიმე კერძო მოვლენას ეხებოდეს ან კერძო საკანონმდებლო აქტს. მაგრამ შინაარსი სახალხო თავისუფლების პარტიის შეკითხვისა კერძო რამ მოვლენა არაა, ის საერთოდ კავკასიის პოლიტიკის განმარტებაა. მიზანი ამ შეკითხვისა თვით შემკითხველებს ისე ესმით, რომ მთავრობის განზრახულებანი შეიძლებოდეს მხედველობაში იქონიოს სათათბირომ, როცა ის კავკასიის შესახებ საკანონმდებლო მოქმედებას შეუდგება. მთელი რუსეთისვის მთავრობამ თავისი პოლიტიკა სტოლიპინის ცნობილ დეკლარაციით განმარტა, არა ნაკლებ ირკვევა იგივე პოლიტიკა მთავრობის კანონ-პროექტებით, რომელნიც ათეულობად მზადდებიან ბიუროკრატიის სფერებში და ასე უხვად შედიან სათათბიროში. ერთად ერთი კავკასიაა ათვალისწუნებული და აბუჩად აგდებული, მხოლოდ კავკასიის შესახებ სდუმდა სტოლიპინის დეკლარაცია მხოლოდ კავკასია რჩება იმ ფარგლის გარეშე, რომელშიაც თავის საკანონმდებლო ნიჭს ავარჯიშებენ ერთის მხრივ რუსეთის ბიუროკრატია და მეორის მხრივ სათათბირო.

ასეთ პირობებში კავკასიის მცხოვრებთ სრული უფლება აქვთ, იკითხონ, მარტო რუსეთისთვის არსებობს სახალხო წარმომადგენლობა თუ ჩვენი ქვეყნისათვისაც. კითხვა თავის თავად უცნაურსა ჰგავს, რადგან კავკასიის მცხოვრებნიც ირჩევენ დეპუტატებს, ისინიც ირაზმებიან მებრძოლ ჯგუფებად არჩევნების დროს, მათგან არჩეულნიც სხედან სათათბიროს დარბაზში, ხშირად მათი ცხარე სიტყვაც არყევს იქ ჰაერს, მაგრამ ყველა ეს საქმის მდგომარეობას არა სცვლის. სახალხო წარმომადგენლობის არსებითი მნიშვნელობა არჩევნები და მჭერმეტყველობაში ვარჯიში კი არაა, არამედ კანონმდებლობა და კონტროლი მთავრობის მოქმედებისა. ამ მხრივ კი კავკასიის დეპუტატები რუსეთის სათათბიროში პირდაპირ უმწეონი არიან

კავკასია ყუბანის და თერგის ოლქებითურთ სულ 29 დეპუტატს ირჩევს, სათათბიროს დებულებით კი 30 დეპუტატზე მცირე ჯგუფი ვერც კანონ-პროექტს წარადგენს, ვერც შეკითხვას და ვერც სხვა რაიმე ნაბიჯს გადასდგავს. მართალია, ამ 29 დეპუტატს თვალსაჩინო მონაწილეობა შეუძლიანთ მიიღონ სათათბიროს წევრთა საერთო მუშაობაში, მაგრამ ამ საერთო მუშაობას მხოლოდ მაშინ ექნება კავკასიისთვის რეალური მნიშვნელობა, როცა საერთო მუშაობის საერთო ნაყოფი მარტო რუსეთზე კი არა, ჩვენს ქვეყანაზედაც გავრცელდება. ეხლა ეს ასე არაა. სათათბირო ამ ჟამად ერთ-ერთს თავის კომისიაში, მაგ., სასამართლოს რეფორმის კანონ-პროექტს ადგენს; რეფორმის საფუძვლად მოსამართლეების არჩევნებია აღიარებული; მთავრობის წარმომადგენლებიც თითქმის ყველაფერში კომისიის თანამოაზრეობას აცხადებენ; ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მალე პროექტი კანონად გადიქცევა. მაგრამ, უხაროდეს რუსეთს, თორემ ჩვენს ქვეყანას რა! ჩვენში ეს კანონი არ მოქმედებს, აქ ისევ ძველი სასამართლო დარჩება. მიზეზი?—მიზეზი ისაა, რომ ჩვენ განსაკუთრებულს პირობებში გვიცხოვრია დღემდე და ასეთსავე პირობებში ვცხოვრობთ დღეს.

ყველაზე ზომიერი ოპოზიციონურ პარტიებში სახალხო თავისუფლების პარტიაა; ყველაზე სუსტი ჩვენს ქვეყანაში სწორედ ეს პარტიაა, მაგრამ კავკასიის საქმეების შესახებ მაინც იმის გარდა სხვას არავის ყურიც არ გამოუბერტყნია. ამ პარტიისაგან წარდგენილი შეკითხვა კავკასიის საქმეების შესახებ იმ კილოზეა შედგენილი, რომ იგი უკვე თითონვე იგულისხმებს განსაზღვრულს, შემკითხველების დამაკმაყოფილებელ პასუხს. ეს პასუხი კავკასიის მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას ვერ დააკმაყოფილებს, ვერ შეევსება აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში არსებულს საზოგადოებრივს მოძრაობას, მაგრამ მაინც ეჭვს გარეშეა, რომ სათათბიროს უმრავლესობა ამ საგანსაც სწორედ ისე შეჰხედავს, როგორც ყველა სხვა საგნებს, ე. ი. სახალხო თავისუფლების პარტიის თვალით. ერთად-ერთი შედეგი ამ მდგომარეობისა ის იქნება, რომ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბლის გადამწყვეტად კადეტები გახდებიან, ის კადეტები, რომელნიც აქ ყველა სხვა პარტიებზე სუსტნი არიან და რომელთა სულის კვეთებაც სრულიად არ შეეფერება ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას.

ასეთია ნაყოფი ბიუროკრატიისაგან მემკვიდრეობით საპარლამენტო რუსეთზე გადატანილის ცენტრალიზმისა. მაგრამ საკვირველი ეს კი არაა, პირიქით ისაა, რომ ჩვენს ქვეყანას კიდევ ამდენი ცენტრალიზმის პრინციპიალური დამცველი ჰყავს.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** განცხადება, რომელიც სათათბიროს თავმჯდომარეს მისცეს 6 აპრილს თავმჯდომარის მიერ ორატორების შეჩერების შესახებ, ხელ-მოწერილია 32 ს.-დემოკრატ და ს.-რევოლიუციონერ დეპუტატთაგან.

ბაიკალის იქითა მხარის კაზაკებმა სათათბიროს წევრად აირჩიეს ტასკინი, მასწავლებელი, უნივერსიტეტში სწავლა მიღებული.

ირკუტსკში სათათბიროს წევრად აირჩიეს გლეხი ივანოვი, სახალხო-სოციალისტი, რომელსაც სწავლა საოსტატო სემინარიაში აქვს მიღებული.

ბაიკალის იქითა მხირის ოლქის გლეხებმა და მოქალაქეებმა სახ. სათათბიროს წევრად აირჩიეს კონჩევი, კადეტი, მომრიგებელ მოსამართლედ ნამყოფი.

(გაზეთებიდან)

**გლეხების განცხადება.** სათათბიროში მემარჯვენეთა ფრაქციას ველინისა და სხვა გუბერნიის დეპუტატმა გლეხებმა, რომლებიც აქამდის მემარჯვენეებს ემხრობოდნენ, შემდეგი განცხადებით მიმართეს: ჩვენ, ქვემო ხელ-მოწერილნი, მონარხისტთა ფრაქციის წევრები, იძულებულნი ვართ, განვაცხადოთ, რომ ამიერიდან მონარხისტული პარტიის წევრებად დარჩენას ჩვენთვის შეუძლებლად ვცნობთ, რადგან მემარჯვენენი ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ, რათა სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქმნას“.

**სათათბიროს დაცვის გაძლიერება.** პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით სათათბიროს დამცველთ 19 ახალი საიდუმლო პოლიციის წევრი მოემატა.

**უცხოელ კორესპონდენტების დეპეშა.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ პეტერბურგში თავ-მოყრილნი იყვნენ თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი და სხვათა შორის თათბირი ჰქონდათ სათათბიროს დათხოვნის შესახებ. უცხოელ კორესპონდენტებს შეუტყვიათ და დეპეშით უცნობებიათ თავის გაზეთების რედაქციებისათვის, რომ თავად-აზნაურთა ცდა ამაო დარჩა.

**მცოდნე პირთა მოწვევის აკრძალვის შესახებ.** სათათბიროს უკმაყოფილება, კომისიებში მცოდნე პირთა მოწვევის აკრძალვით გამოწვეული, იმით დასრულდება, რომ მთავრობა აღარ ეწინააღმდეგება მცოდნე პირთა იმ კერძო კომისიებში მოწვევას, სადაც მინისტრები არ დაესწრებიან საგნის განსამარტავად.

**პოლონეთის ავტონომია.** პოლონე-

თის კოლოს კრებამ დაამტკიცა დეპუტატების კონიცის, სტეცკის და გარუსევიჩის მიერ შემუშავებული და კომისიაში განხილული კანონ-პროექტი პოლონეთის ავტონომიის შესახებ. მალე ამ კანონ-პროექტს სათათბიროს განსახილველად შეიტანენ. კოლოს აზრით, სათათბიროს დეპუტატთა უმრავლესობა მიემხრობა კანონ-პროექტს.

# ახალი ამბავი

✦ **საქმე გაფიცვის შესახებ რკინის გზაზე.** გუშინ, 9 აპრილს, ტფ. სასამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შეუდგა ერთ პოლიტიკურ საქმის განხილვას. პასუხისგებაში მიცემულნი არიან რკინის გზის განჯის რაიონის სადგურების მოხელე მოსამსახურენი: ინჟენრები კულანდა და სერგო კამირ შკირცევი; სადგურის უფროსის თანაშემწე ვასილ ფანჯავიძე, იასონ კლოიანი, მემანქანენი ანდრია ჩუმაკი, ლეონიდე და ვლადიმერ რიმკევიჩები, ვლადიმერ შენგელია, ღერონტი ჩლაიძე, კონსტანტინე გრიგოლია, ხარიტონ ჩებანოვი, არჩილ გონგაძე, ფერშალი პლატონ კლიმიაშვილი, ობერ-კონდუქტორი ალექსანდრე ხოპერია, სლესარი ივანე უჩამეიშვილი, ტელეგრაფისტი მამონტი კოსენკო, ვლას მიზირკიუნი, ვალერიან თუთბერიძე, სარდონ კაპირაშვილი, პავლე სპექტორი, გ. ტუნდუა, ბეგლარ ბერიძე და იაკობ ჩერნიკოვი. ამათ ჰბრალდებათ ისეთ წრეში მონაწილეობა, რომელსაც აზრადა აქვს ძალით არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დამხობა. ამისთვის, როგორც ოქმშია ნათქვამი, ბრალდებულნი დრო გამოშვებით მართავდნენ მიტინგებს და იწვევდნენ ხალხს შეიარაღებულ აჯანყებისათვის, ჰკრებდნენ იარაღის შესაძენად ფულს, შემდეგ კი შეუერთდნენ რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას, ხელში ჩაიგდეს რკინის გზის სადგურები ევლახსა და განჯას შუა, დაარსეს აგრეთვე „გაფიცვის ბიურო“ ანუ „ხელმძღვანელი კოლექტივი“; მგზავრებს ფულს ართმევდნენ და თავიანთ კასაში შეჰქონდათ. ხალხსაც ასამართლებდნენ და ურჩ მოხელეებს ემუქრებოდნენ სამსახურიდან დითხოვნით. ამ საქმის გარჩევის დროს სასამართლოს დარბაზს მრავალი ხალხი მიაწყდა. პალატამ მოიკითხა ბრალდებულნი და აღმოჩნდა, რომ ერთი ალექსი ლაბაური, უკვე გადაცვლილა, ხოლო ბეგლარ ბერიძე და იაკობ ჩერნიკოვი არ გამოცხადდნენ, რადგან მათთვის უწყებები არ ჩაუბარებიათ. ამის გამო ვექილებმა მოითხოვეს, საქმე გადადებულიყო, მაგრამ არ შეიწყნარა. შემდეგ შეუდგნენ მოწმეთა გამოკითხვას. აღმოჩნდა რომ ბრალდთა მოწმეებიდან 10 კაცი არ გამოცხადდა. არ გამოცხადებულან აგრეთვე, ორიოდეს გარდა, მბრალდებლის მიერ დაბარებული მოწმენი. ბევრ მოწმეს არც კი სცოდნია საქმე სად გაირჩეოდა. ბევრმა კიდეც გვიან მიიღო უწყება. ინჟენერმა კამარშკირცევმა განაცხადა: დღეს საქმე ირჩევა და მე კი უწყება გუშინ საღამოთი მივიღე; საიდან მოვახერხებდი მოწმეები განჯიდან ჩამომეყვანაო. ბრალდებულებმა და მათმა ვექილებმა კიდევ მოითხოვეს საქმის გადადება. პალატამ არც ეს შუამდგომლობა შეიწყნარა. პალატამ წინადადება მისცა ხალხს, დარბაზიდან წასულიყო, რადგანაც ეს საქმე ხალხის დაუსწრებლად უნდა გაირჩესო. ნება მისცა ბრალდებულთ მხოლოდ თითო ნათესავი დაეტოვებინათ დარბაზში. ხალხი წავიდა. კარები დაკეტეს და დარაჯები დააყენეს. ბრალდებულებს იცავენ ვექილები კლანქი, ჯაფარიძე, გუნცაძე და რუტკოვსკი. საქმის გარჩევა გასტანს რამდენსამე დღე', რადგან 60 მოწმეა გამოწვეული. სასამართლოს დაწესებულებათა შესავალს 20 შეიარაღებული ყაზახი იცავს.

✦ **ჟურნალისტთა კავშირი.** კვირას, 8 აპრილს, მოხდა კრება ტფილისელ ჟურნალისტებისა, რომელთაც უნდა განეხილათ ძირითადი საფუძველნი განზრახულ კავშირის წესდებისა. კავშირს ეწოდება: „პროფესიონალური საზოგადოება მწერლობის მუშაკთა“. აზრად ექნება წევრთა მატერიალური და ზნეობრივი დახმარება. საზოგადოებაში შეუძლიან შევიდეს ყველა, ვისაც მწერლობასთან რაიმე კავშირი აქვს, გარდა იმათი, რომელნიც ბეჭდვითი საქმით მხოლოდ ფულის მოგებას სცდილობენ. კრებამ აირჩია მცირე კომისია და მას დაავალა წესდების პროექტის დაწვრილებით შემუშავება. კომისიის წევრებად მოჰყვნენ ბ-ნნი ნაგურსკი ჯაბარი და ორესტ ხუმინი.

✦ **გაფიცვა ბაქოში.** ბალახანაში საელექტრონო სადგურის მუშები გაიფიცნენ. ამის გამო ზოგიერთ სამრეწველოში, სადაც ელექტრონი მოქმედებს, მუშაობა შესწყდა.

✦ **დაზარალებულთა ს.სარგებლოდ.** განჯის, ბაქოს, ერევნის და ტფილისის გუბერნიებში დაზარალებულთა სასარგებლოდ მთავრობამ ხაზინიდან გადასდო 785,435 მან. ეს ფული უმთავრესად განჯისა და ერევნის გუბერნიებს მოხმარდა. ტფილისის გუბერნიისთვის გადაიდო 28,272 მანეთი. ეს ფული მიეცემა ბორჩალოს მაზრის 24 სოფელს. ტფილისის გუბერნიის დანარჩენ ადგილებზე და ქუთაისის გუბერნიაზე ერთი გროში არ გადადებულა, თუმცა, როგორც ვიცით, ამ გუბერნიებშიც ხალხი ძალზე დაზარალდა მოუსავლობით და სხვა მიზეზებით.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში ორი წლით იგზავნება ა. კოსაბელიანცი, რომელსაც აღმოაჩნდა ორი რევოლვერი და 150 პატრონა. ეტაპით საგ.-გუბერნატოროდან იგზავნებიან თელავში დაპატიმრებულნი ლაზარე გოგიაშვილი და იაგორ ქმურაძე და სიღნაღში დაპატიმრებულნი იაგორ ჯანიაშვილი და არშაკ ვართანოვი. პირველი ორი პოლიტიკურად არა საიმედო კაცებად ჩასთვალეს, ორ უკანასკნელს კიდევ აბრალებენ აგიტაციას სიღნაღის სასმელ დუქნების მუშათა შორის.

✦ **ამატუნის ქუჩის მცხოვრებთა საჩივარი** ამატუნის ქუჩაზე მცხოვრებლებმა საჩივარი წარუდგინეს ქალაქის გამგეობას იმის შესახებ, რომ წყლის მზიდავებმა ნიხრს მოუმატეს და 7 კაპეიკის მაგიერ 10 კაპეიკს ახდევინებენ ღარიბ მცხოვრებთ თვითეულ მოტანილ ბოჩკა წყალში. ამის შემდეგ თვით მეთულუხემ მოუტანა მომჩივან ხალხს გამგეობიდან ქაღალდი, სადაც აღნიშნული იყო წყლის ფასი ბოჩკა 8 კაპ. ეს ქაღალდი მცხოვრებლებმა არ მიიღეს.

✦ **ქარ-ბუქი ბათუმში.** 8 აპრილს, ბათუმში მკაცრედ ამოვარდა ძლიერი ქარ-ბუქი, სახლებიც-კი დაანგრია და საზოგადოდ მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 15 აპრილს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში წაიკითხავენ ლექციებს: 1. ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე ქართულად: „ბუნება და ცხოვრება“; 2. ი. ფ. კიჩკინი რუსულად: „მზე, მიწა და პლანეტები“. ქართულ ლექციის დასაწყისი—11 საათზე, რუსულისა—$12^{1}/_{2}$ საათზე.

✦ **ექსკურსია.** ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის ორკლასიან სკოლის სამზრუნველომ დაადგინა, სკოლის უფროს განყოფილების მოწაფენი მასწავლებლის ქიქოძის მეთაურობით გაჰგზავნოს საექსკურსიოთ საქართველოს სხვა და სხვა შესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად. მოსწავლენი მოივლიან სოხუმს, ბათუმს, ფოთს, ქუთაისს, გელათს და სხვას.

✦ **20,000 მანეთის ნივთების მოპარვა.** რვა აპრილს, საღამოთი, ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებს ნადიროვის ქვრივს შეპარვიან სახლში ვიღაცები და წაუღიათ 20.000 მანეთის ბრილიანტისა და ოქრო-ვერცხლის ნივთები.

✦ **სესხი ვენახის წამლი' შესახებ.** ამას წინად სიღნაღის მაზრის ანაგისა და ვაქირის სოფლის საზოგადოებებს შუამდგომლობა აღუძრავთ, მისცემოდათ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი ვენახებისთვის წამლის საყიდლად. ანაგის საზოგადოება თხოულობდა 15,000 მანეთს, ხოლო ვაქირი'ა 15,771 მანეთს. მომრიგებელი შუამავალი თავ. ჯორჯაძე თვითონ ჩამოვიდა სიღნაღიდან და 'იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რომ აღნიშნული სესხი უსათუოდ მისცემოდათ. შუამდგომლობა შეიწყნარეს. ვენახის წამლების შესანახავე ყვარელის საზოგადოებას მიეცა სესხად 8000 მანეთი.

✦ **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** კარგი იქნება ვინმე ქველმოქმედმა ყურადღება მიაქციოს მეტად გაჭირვებულ ოჯახს. ოჯახი შესდგება ხუთი სულისაგან: ქვრივი ნასტალია ჩხეიძისა; მისი შვილები: ივანე 19 წლისა, რომელსაც ვერსად ადგილი ვერ უშოვნია, ბარბარე 13 წლისა, ვლადიმერ 10 წლისა და თამარა 6 წლისა. არავითარი შემოსავალი და ცხოვრების წყარო ამ ოჯახს არ გააჩნია. ადრესი: გუნიბის ქუჩა, № 47. სახლი ზოკროვსკისა.

✦ კვირას 8 აპრილს, ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების კრება, რომელმაც სხვათა შორის, განიხილა მოხსენება სასწავლებლის დაარსების შესახებ. სასწავლებელი პროფესიონალური იქნება 5 წლის კურსით. ყოველ წლობით სასწავლებელს 9000 მან. დასჭირდება. კრებამ მიიღო მოხსენება და დაავალა გამგეობას ამ საქმის განსახორციელება.

✦ 7 აპრილს საღამოს 11 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილში მაზუთის ქუჩაზე სამი შეიარაღებული კაცი შეუვარდა მაზუთის საწყობის პატრონის ევანგულოვის კასირს და მოსთხოვა კასის გაღება კასიდან ამოიღეს 50 მან.; შემდეგ შევიდნენ მუშების ოთახში, აქედან წაიღეს 400 მანეთამდე და მიიმალნენ. პოლიციამ ეჭვი მიიტანა გორის მაზრის მცხოვრებ ვლადიმერ დვანაძეზე, როგორც ერთ მონაწილეზე ამ გაცარცვაში, და დააპატიმრა. პოლიციის ცნობით, დვანაძე გამოტეხილა. ეჭვით დააპატიმრეს თედო სიხარულიძე, სიმონ კაკაბრიშვილი, ლევან მაისურაძე, რაჟდენ მაისურაძე და ვლადიმერ დვანაძე.

✦ 3 აპრილს მეორე გილდის ვაჭარმა გრიგოლ ბუაჩიძემ პოლიციას გამოუცხადა, რომ მას 500 მან. საქონელი დაეკარგა 4 აპრილს იმ დროს, როცა სასამართლოს ბოქაული ოგანეზოვი საქონელს ვალში უწერავდა.

✦ 7 აპრილს საღამოს 7 საათზე ოლგას ქუჩაზე ვაგონს ქვეშ ჩაუვარდა [illegible] დარაჯი გასან [illegible] ვაგონს [illegible]ლოდ გაუსრესია.

✦ 7 აპრილს ნაძალადევში 5 შეიარაღებული კაცი შეუვარდა ღამე ისაკ მურადიანც. 100 მ. გაიტაცეს და გადაიმალნენ.

✦ 8 აპრილს პოლიციამ დააპატიმრა ტფ. მცხოვრებნი ალექსანდრე იუზბაშევი, გრიგოლი არაქელოვი და მეერ ჩაჩანაშვილი, რომელთაც მადათოვის კუნძულზე მელქუმოვის მაღაზიაში შეპარულიყვნენ და გასატაცებლად 4600 მან. საღირალი ნივთები მოემზადებინათ.

✦ პეტრედიდის ქუჩაზე მცხოვრებ სილიბისტრო პაკიდაევმა ჩხუბის დროს რამდენჯერმე დანით დასჭრა თავის ცოლი. ქალი კარგა ხანს შემდეგ გადაიცვალა. პაკიდაევი დააპატიმრეს.

# ქუთაისის ქრონიკა

✦ ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებად შეძენილი ადგილი, ზომით 4019 ოთხ კუთხი საჟენი, თავად-აზნაურობას დაუჯდა 64.137 მან. 48 კაპ., აქედან ვალად გადმოიტანა თავის თავზე 21.492 მან. 23 კაპ. და ნაღდი ფული გაიღო 42.645 მ. 25 კ. თუ გამოვაკლებთ მამულის დამტკიცების ხარჯს 2.600 მანეთს და იმ ორი შენობის ფასს, რომელიც ქორქაშვილისეულის ადგილზეა აგებული—13.000 მანეთს, თვით ადგილი დაუჯდა თავად-აზნაურობას 48,533 მანეთი, ანუ თითო ოთხ კუთხი საჟენი დაახლოვებით 10 მანეთად. წინამძღოლმა დაავალა ნაფიც-ვექილს ა. ს. საყვარელიძეს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ნასყიდობის შესრულება, გაასაჩივროს უფროს ნოტარიუსის განკარგულება, რომლის ძალითაც თავად-აზნაურობას გადახდა ხაზინის ბაჟი ადგილის შეძენის გამო დაახლოვებით 2.600 მანეთი.

✦ ნამესტნიკს არ შეუწყნარებია ქუთაისის ბანკის ზედამხედველ კომიტეტის შუამდგომლობა, რომ ბანკის რწმუნებულთ უფლება მიეცეთ მთავრობის მიერ დანიშნულ თავმჯდომარის მაგიერ აირჩიონ კაცი ამ თანამდებობაზე. ზედამხედველი კომიტეტი ამ გვარსავე შუამდგომლობას უგზავნის ფინანსთა მინისტრს.

✦ 5 აპრილისთვის ქუთაისის სადგილ მამულო ბანკში დანიშნული იყო ამ ბანკში დაგირავებულ სოფლის მამულების ვაჭრობა. გაიყიდა 12 მამული. სხვა მამულები მეორე ვაჭრობისათვის გადაიდო.

✦ 6 აპრილს ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა თავისთან იხმო ყველა დამ-

# ფელეტონი

## ქართველები ჟენევასა და პარიზში

(შთაბეჭდილებანი)

(დასასრული *)

პარიზში 50-მდე ქართველი დამხვდა. ყველანი ლათინურ უბანში სცხოვრობენ, გარდა ხუთიოდესი, რომელნიც გაფანტულნი არიან პარიზის ახლო-მახლო სოფლების პანსიონებში ენის სასწავლებლად. ქართველებსა და სხვა უცხოელ სტუდენტებსაც ჩვეულებად აქვთ, ჩავლენ თუ არა პარიზში და მიათვალ-მოათვალიერებენ იქაურობას, რამდენიმე თვით უეჭველად მახლობელ სოფელში უნდა წავიდნენ ენის სასწავლებლად. სხვებისა კი არ ვიცი, მაგრამ ქართველებისთვის ეს ჩვეულება მეტად სასარგებლოა, რადგან ისინი ისეთ მჭიდრო ოჯახს შეადგენენ და ისეთი ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთთან, რომ თითქმის მუდმივ ქართულად უხდებათ ლაპარაკი და ამის გამო ფრანგულ ენას ძალიან ძნელად ითვისებენ. არა მგონია სხვა რომელსამე ქალაქში ქართველებს ისეთი მაგარი კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან, როგორც პარიზელ ქართველებსა აქვთ. იშვიათია პარიზელ ქართველისთვის ისეთი დღე, რომ თითქმის ყველა იქაურ ქართველს არ შეჰხვდეს— ან ვოკლენის ქუჩაზე, რუსულ სასადილოში, ან კავკასიის საზოგადოების სამკითხველოში და ან ტულიეს ქუჩაში, სადაც ერთ სასტუმროში ყოველთვის სცხოვრობს შვიდი-რვა ქართველი. თუ ვინმე პირველად მიემგზავრება პარიზში და ნაცნობი არავინა ჰყავს, მას თამამად შეუძლიან მივიდეს Rue Toullier-ს ქუჩაზე, მოძებნოს Hotel des matnurins, № 7 და სთხოვოს პარიზელ ქართველთა საერთო ნაცნობს, სასტუმროს პატრონს ბ-ნ მენუს ვინმე ქართველის ჩვენება და ათიოდე წუთის შემდეგ მას ათიოდე ახალი ნაცნობი ქართველი გაუჩნდება. ტყუილად არ ეძახიან იქაური ქართველები ამ სასტუმროს „ქართველების სასტუმროს“. მისი პატრონი თითებზე ჩამოგითვლით ყველა ქართველს, რომელთაც ამ ათი წლის განმავლობაში უცხოვრიათ მასთან და თქვენც მათ შორის უეჭველად წააწყდებით ხუთიოდე ნაცნობ გვარს: ზოგი იმათგანი ეხლა საზოგადო მოღვაწედ ითვლება და ქართველი ინტელიგენტი შორიდან მაინც იცნობს.

ამ სასტუმროში მოსახლე ქართველების ყოფა-ცხოვრება შესამჩნევად განირჩევა სხვა ქართველების ცხოვრებისგან. აქ თავი მოუყრიათ ყველა იმათ, ვისაც არა აქვთ გამორკვეული თავიანთი მდგომარეობა (სამწუხაროდ, ასეთი ქართველი პარიზში ძალიან ბევრია), რომელნიც ძალიან ხშირად მშივრები არიან და მთელი თვეობით ელიან ფულს და იმ დღეს, როცა თავიანთ ვალებს გაისტუმრებენ და ან სტუდენტად ჩაეწერებიან და გადავლენ სხვაგან სადმე ან პანსიონში წავლენ ენის შესასწავლად. უბედურ დღეში არიან ეს ქართველები. ზოგი მათგანი სამი-ოთხი თვე უცდის ფულს, რომ როგორმე გაისტუმროს ვალი და სწავლის ფული შეიტანოს. ამ მოლოდინში ისინი ნახევრად მშივრები არიან და თუ აღმოაჩნდა ვისმეს ერთი ფრანკი, ამხანაგური მოვალეობა და კომუნალური ეთიკა ამ ფულის დახარჯვის ნებას არ აძლევს: კომუნა ამ ერთ ფრანკს თავის საზოგადო საკუთრებად სთვლის და საერთოდ ხარჯავს. მაგრამ თუ მოუვიდა ვინმეს ფული, მას მეორე დღეს ერთი გროშიც აღარ რჩება, რადგან მისი ვალი ყოველთვის სჭარბობს შემოსავალს. მიზეზი ის არის, რომ მშობლები თვიურ ფულს ყოველთვის ორი სამი თვით გვიან ჰგზავნიან და ამით ხელ-ფეხს უკრავენ თავიანთ შვილებს, რომელნიც ვეღარ ამოსულან ამ მახიდან და ამ რიგად კვირა კვირას მისდევს და თვე-თვეს, წელიწადი და რამდენიმე ასი მანეთი კი დაკარგულია. მაგრამ წელიწადსა და მანეთებს ვინ ჩივის: ისინი ჰკარგავენ ისეთ რამეს, რაც ფულზე გაცილებით უფრო ძვირია: შრომის უნარს, ენერგიას და სწავლის სურვილს. გასამტყუნარნი არიან მათი მშობლები, მაგრამ არც თითონ ისინი არიან გასამართლებელნი. იმათ არა აქვთ უნივერსიტეტში შესატანი ფული (თუმცა პარიზში ჩამოსვლისას ველა მათგანს ჰქონდა), ზოგჯერ სადილისთვისაც ვერ შოულობენ ნახევარ ფრანკს, მაგრამ ყველა მათგანს აქვს თავისუფალი დრო, რომელსაც თითონაც არ იციან რაზე ხარჯავენ. ორი თვე ვიყავი ამ სასტუმროში და ყოველ დღე ასეთ სურათს ვხედავდი: დილით დგებოდნენ 12 საათზე და საუზმეზე მიდიოდნენ, მერე ისევ შინ ბრუნდებოდნენ, იკრიბებოდნენ ერთ რომელსამე ოთახში და ლაყბობდნენ. საღამოზე ისევ სადილად მიდიოდნენ, მერე ისევ ერთად იკრიფებოდნენ და ღამის 2-3 საათამდის მთელ სასტუმროში არავის მოსვენებას არ აძლევდნენ. მეორე დღე ჰგავდა პირველს და მესამე-მეორეს. ასეთი დროს გატარება შეიძლება რომელსამე მიყრუებულ ქალაქში, მაგრამ პარიზში ასეთი ცხოვრება გაუგებარია. იმ სასტუმროს, სადაც ქართველები სცხოვრობენ, გვერდით აკრავს სორბონნას უნივერსიტეტი, სადაც ძალიან ხშირად უფასოდ და ყველას შეუძლიან სიარული, მაგრამ იქაურ ქართველს ეს აზრადაც არ მოსდის. იმავე სასტუმროს მეორე გვერდზე აკრავს სან-ჟენევიევას საუცხოვო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც ღარიბი სტუდენტი და ყველა, ვისაც მეცადინეობა უნდა და ზამთარში სახლის გათბობა ეძნელება, უმეტეს დროს იქ ატარებს, მაგრამ ორ ქართველის გარდა ჩვენი იქ არავინ დადის. სასტუმროს მესამე გვერდზე აკრავს განთქმული ლიუქსებურგის მუზეუმი, რომელიც ხელოვნების მცოდნე კაცსაც რამდენსამე თვეს ეყოფა, უბრალო მომაკვდავს ხომ ადვილად შეუძლიან ამ მუზეუმში ხელოვნების ისტორიის ერთი დარგის განსაზღვრულ ეპოქის შესწავლა, მაგრამ ქართველი ამ მუზეუმსაც ისე ერიდება, როგორც სორბონის უნივერსიტეტსა და სან-ჟენევიევის სამკითხველოს. იშვიათად თუ რომელიმე ქართველი ლიუქსებურგის ბაღში სეირნობის დროს (ესეც კი ეზარებათ). უცაბედათ და შემთხვევით შეუხვევს მუზეუმისაკენ, აუვლ-ჩაუვლის როდენისა და მერსიეს ქანდაკებას, ოდნავ გადაავლებს თვალს როზა ბიონერისა, ბრეტონისა, ადლერისა, ბენჟამენ კონსტანისა, დეტაილისა და მუნიეს საუცხოვო სურათებს, უფრო დიდ ყურადღებას მიაქცევს ჟერომისა, ლეფევრისა, კოლენისა, დიურანისა და კაბანელის ტიტველა ქალებს და ხუთი წუთის შემდეგ ისევ შინისკენ მირბის, სადაც ერთ ოთახში მუდმივ კრება აქვთ „უსაქმურ“ ქართველებს, რომელნიც პირიდან პაპიროს არ უშვებენ და ბაასობენ, მერე ვინ იცის რაზე და როგორ!

იმავე ქართველებს პარიზულ მანძილთან შედარებით ახლო აქვთ ლუვრის მუზეუმი, რომლის დასათვალიერებლადაც რამდენიმე თვეა საჭირო, ხოლო შესწავლას—რამდენიმე წელიწადი, მაგრამ იმათ არც ეს აინტერესებთ: არ აინტერესებთ ლუვრი, სადაც მოგროვილია მთელი კაცობრიობის ქმნილება, ყველა ეპოქისა, ერისა და სკოლის საუკეთესო შედევრი, სადაც შეიძლება სავსებით შეისწავლოთ რაფაელი და კორეჯიო, ტიციანი და ფიდიოსი, პრაკსიტელი და ვანდეიკი, რებრანტი, ლეონარდო და-ვინჩი, მურილიო, ველასკეზი, დელაკრუა, გრიოზი, დიურერი, ბოტიჩელი, რიბიერა და მათი სკოლა, ეპოქა, ისტორია, ეთნოგრაფია და ერთი თვის განმავლობაში ერთი-ორად გააფართოვოთ თქვენი გონება, გაამდიდროთ თქვენი ცოდნა, გაალრმავოთ თქვენი ენციკლოპედია. პარიზში რომ ჩავედი, იქაურ ქართველებს ვთხოვე, ლუვრი დამათვალიერებინეთ მეთქი, მაგრამ ეს საქმე ვერავინ იკისრა და ისიც კი ვერავინ მირჩია, რომ რომელ კარებიდან უნდა შევსულიყავ და რომელ განყოფილებიდან დამეწყო მისი დათვალიერება. ბოლოს ისევ მე მოვძებნე ლუვრიცა და მისი თავიცა და ბოლოც. რომ დავბრუნდი, ზოგნი მეკითხებოდნენ, ნახეთ თუ არა ნაპოლეონის გვირგვინი, დიდი ბრილიანტი და ძვირფას ქვებისაგან გაკეთებული საფრანგეთის რუკა, რომელიც რუსეთის იმპერატორმა აჩუქა საფრანგეთის რესპუბლიკასაო. მაგრამ არავინ არა მკითხა, ვნახე თუ არა ქანდაკებანი კლასიკურ და ახალ სკოლისა, ვნახე თუ არა რაფაელისა, რუბენსისა, მურილიოსი და დელაკრუას სურათები. ბევრი ქართველი მოიძებნება პარიზში, რომელსაც არც რაფაელის სურათები უნახავს და არც ელინთა ქანდაკება, მაგრამ მგონი არც ერთი არ მოიძებნება, რომელსაც ნანახი არა ჰქონდეს ძვირფასი რუკა და იმაზე უფრო ძვირფასი ორი გვირგვინი და ორი ბრილიანტი. არ შეიძლება ვინმეს ვუსაყვედუროთ უმეცრება და უცოდინარობა ამა თუ იმ საგნისა, მაგრამ თამამად შეგვიძლიან ვუსაყვედუროთ მას, თუ ის გაურბის ცოდნას მაშინ, როცა მისი შე-

*) ი. „ისარი“ № 76.

ზღვევ საზოგადოების აგენტები და, აღნიშნა რა ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში ბოროტის აზრით ხშირად იწვის დამზღვეული მამულები, გააფრთხილა ისინი. ამასთან სთქვა, თუ განმეორდა სახლის დაწვა ადმინისტრატიულის წესით იქნებით გაგზავნილიო. ზოგიერთმა აგენტმა მოინდომა საქმის გარემოების ახსნა, მაგრამ გ.-გუბერნატორმა არ ისურვა მოსმენა.

✦ ქალაქის სკოლების მასწავლებელთა კორპორაციის განუზრახავს მომავალ მაისში მოსწავლეებთან ერთად ექსკურსიები გამართოს. საექსკურსიოდ დანიშნულია ტყიბული, ჭიათურა, ბათუმი და სხვა ადგილები.

იგივე მასწავლებლები შესდგომიან სამაგალითო პროგრამების შედგენას პირველ დაწყებით სასწავლებელთათვის ქართული და რუსულის ენისა, არითმეტიკის და სხვა საგნებისა. ამისთვის მასწავლებლები ცალ-ცალკე გამოსაცდელ გაკვეთილებს აძლევენ და მერე შეერთებულის ძალით აღნიშნავენ გაკვეთილის ავ-კარგს.

✦ ჭიათურის შტოსთვის შეკვეთილ 150 ვაგონსა და 8 ორთქლმავალს მოელიან მომავალ ივნისისათვის.

✦ დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეები საზოგადოდ გვიან ყიდულობენ ხოლმე აბრეშუმის თესლს იმის მოლოდინში, რომ იგი გაიაფდებაო. უთუოდ ამავე მოსაზრებით წრეულსაც აგვიანებს ხალხი თესლის ყიდვას. დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოდ, რომ წრეულს სხვა წლებთან შედარებით ცოტა თესლია შემოტანილი დასავლეთ საქართველოში და თუ ხალხი დროზე არ შეეცადა თესლის შეძენას, იგი გაძვირდება.

✦ რვა აპრილს ქუთაისში მოიხსნა საალყო წესები. ქალაქმა თავისუფლად ამოისუნთქა.

# პროვინციის ცხოვრება

**კახეთი.** 1906 წელს ტფ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას შაბიამან-გოგირდის საწყობი არა ჰქონია კახეთში, როგორც წინა წლებში.

ერთის მხრივ ამან და მეორის—საზღვარგარეთიდან შაბიამანის ნაკლებად შემოტანამ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო მთელი კახეთი. პირველ წამლობაში თუმცა ვაზის შესაწამლი მასალა ბლომად ჰქონდათ მოტანილი თელავში გაჭრებს, მაგრამ ხელოვნურად აუწიეს ფასებს და ფუთი 5 მან. დაწყობილი 8 მან. აიყვანეს. რადგან მეტოქე არავინა ჰყავდათ, ამაზე მეტი ფასიც რომ დაედოთ, მევენახე იძულებული იყო მათთვისვე მიემართნა. მეორედ შეწამლის დროს ხომ მეტად ნაკლებ იშოვებოდა შაბიამანი. ფუთში 12—14 მან. აძლევდნენ, ოღონდ შოვნა ყოფილიყო, მაგრამ მოვაჭრეთაც გამოელიათ და აღარც ტფილისში იშოვებოდა. ამისათვის ბევრს ძალიან ბევრს ვენახი შეუწამლავი დარჩა და მოსავალმაც სულ რომ ცოტა $1/3$—$1/5$ დაიკლო; ამან კახეთს ათას მანეთობით ზარალი მიაყენა. ამავე დროს „კახეთის" საზოგადოების გამგეობამაც დიდი შეცდომა ჩაიდინა, რომ გადარჩენილი შაბიამანი კახეთში გამოგზავნის მაგიერ, ვაჭართ მიჰყიდა და ამით შეძლება მისცა მათ, ერთიორად მეტი აეღოთ მევენახეთაგან.

წარსულს აღარაფერი ეშველება, მხოლოდ მომავალში ეს ასე აღარ უნდა მოხდეს; ჩარჩ-ვაჭართა ხელში აღარ უნდა ჩავარდეს კახელი მევენახე და ამის წინააღმდეგ ბრძოლა ისევ სამეურნეო საზოგადოებას შეუძლიან ვაზის შესაწამლი მასალის საწყობის გახსნით კახეთის ცენტრში, ე. ი. თელავში და ნორმალურ ფასებში გაყიდვით. მართალია წინა წლებშიაც ჰქონდა თელავში განყოფილება, მაგრამ არ ვიცი, რა პირობით. წელს, როგორც გაზეთებიდან ვიცით, სამეურნეო საზოგადოებას გამოუწერია ვაზის შესაწამლი მასალა და ნაწილი უკვე მოუდია, მაგრამ საქმე ისაა, როგორ მოაწყობს გაყიდვის საქმეს? როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, საზოგადოება თურმე იმ აზრისა ყოფილა, რომ პროვინციაში განყოფილება აღარ გახსნას, არამედ მთავარი საწყობი ტფილისში იქონიოს და იქიდან აძლიოს მევენახეთ, რაც კახელი გლეხისთვის მოუხერხებელია და ვერც ისარგებლებს.

გაზაფხული კარგა ხანია დადგა, კვირტმა გაიღვიძა, ვაზი ტირილს იწყობს, შესაწამლი მასალის მომზადებას ითხოვს, ურომლისოდაც ამაოა მთელი წლის მუშაობა. რას აპირებს სამეურნეო საზოგადოება? არ ვიცით. მხოლოდ მალეს მაინიც უნდა მოასწროს და ისე მოაწყოს საქმე, რომ საზოგადოებამ თავისი დანიშნულება შეასრულოს, შესაწამლი მასალის საზღვარ გარედან შემოტანიდან დაწყებული, ვიდრე გლეხ-კაცთა ხურჯინებში განაწილდებოდეს, ე. ი. რაც შეიძლება ნაკლები ფასი დაუნიშნოს განყოფილებაში გასაყიდ შაბიამან-გოგირდს, რომლის ზევით არავის შეეძლოს გაყიდვა, თუ არ ისევ იმავე საზოგადოების განკარგულებით.

**ბუდი.**

**ახალციხე.** ამ ბოლო დროს ახალციხის მაზრის სოფლებში: მუსხსა, ანდრიაწმინდასა, დრეშში და ბევრ სხვაგან ურავლისა დებისას საზოგადოებაში ქუნთრუშა და სხვა გადამდები სენი გაჩნდა, რომელმაც მრავალი მოზრდილი ურმა და ბავშვი იმსხვერპლა. ვერა ვნახავთ უკანასკნელ საზოგადოებაში გლეხის ისეთ ოჯახს, სადაც უმცრო ავადმყოფი არა კვნესოდეს. უმისოდაც დაჩაგრულს გლეხებს ამ ავადმყოფობის თავიდან აუცილებლობამ უარესად მოსწყვიტა წელი. შველა არსაიდან არის. ამას წინად ურავლის საზოგადოების ს. მუსხში დაარსეს საფერშლო პუნქტი, რომელიც ცოტადენ საქმით დახმარებას უწევდა სოფლელებს მაგრამ ნათქვამია: უბედურ კაცს ქვა აღმართში ეწევაო, სწორედ ამისთანა უბედურებზედ არის ნათქვამი: ფერშალი ავადმყოფობის გამო წავიდა და აგერ ოვეზედ მეტია, პუნქტი არც შეკეტილი არგია არც ცოცხალი.

ამ ორ საზოგადოებას ერთ-ერთი გზა ჰქონდა ახალციხისაკენ, მაგრამ წყალდიდზე მეტია, მტკვარმა ხიდი წაიღო და გზა შეიკრა. ახალი ხიდის გაკეთება გაჭირვებულ გლეხებს არ შეუძლიანთ და არიან ისე.

**ი. ლ—ძე.**

—

**ახალ-სენაკი,** 29 მარტს, როგორც გაზეთშიაც იყო მოხსენებული, სავლე სასამართლომ 15 წლით კატორგა გადაუწყვიტა გედე კაჭარავას დაჭერის დროს წინააღმდეგობის გაწევისათვის.

18 მარტს, ოთხის სტრაჟნიკის დაჭერის შემდეგ შეპყრობილი სხულუხია, 25 მარტს სენაკის ციხიდან გაიპარა. უკვე აღნიშნული იყო, რომ სხულუხიას გაპარვის გამო დაატუსაღეს ციხის ზედამხედველი იოდიანე გაგუა, მისი თანაშემწე კ. ჩაჩავა, მეკარე დ. ცანავა და მოსამსახურე ვასო ეჯიშია. მიზეზი მათის დაჭერისა ის არის, ვითომ მათ 4000 მ. აეღოთ და სხულუხია მათის შემწეობით გაპარულიყოს.

ს. ცაისის ეს-ერ პარტიის შემდეგის შინაარსის ფურცლები გამოუშვიათ ჰექტოგრაფით: გაზ. „დროს" № 16-ში ფოთიდან კორესპონდენცია იყო: „ფოთში ჩამობრძანდნენ ეს-ერების სახელით ვიღაც გმირები, რომელნიც შანტაჟისტობას ეწევიან. 60 მანეთისთვის მეფურნეებს ჭრიან ტყვიით. სხვა და სხვა პირებს ფულს ართმევენ ასობით, ფულის შეგროვების შემდეგ შედიან რესტორნებში და იქ შამპანიურებს მიირთმევენ"ო. თუ ეს მართალია, თუ ეს-ერების სახელით მეფურნეებთან მიაქვთ იერიში, თუ პარტიის სახელით მოგროვილი ფულით შამპანიურებს შეექცევიან, ასეთ ვაჟბატონებს ჩვენ ზიზღს ვუცხადებთ, ამავე დროს წინადადებას ვაძლევთ დღეიდან ამ ფურცლების გამოქვეყნებისა, არ განმეორდეს მსგავსი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურესი ზომა იქნება მიღებული, ამავე დროს დაგვერწმუნონ, რომ ჩვენ ადვილად შეგვიძლია მათი ვინაობის გაგება."

**აჭია.**

—

**სოფ. ლალის-ყური** (თელავის მაზრა). ზაფხული მოახლოვდა, ტყემ გაიღვიძა, კავკასიონის ქედი აჭრელდა, მთებზე თოვლს ნელ-ნელა იღებს, იღვიძებს მიძინებული ბუნება და ამასთან თავი წამოჰყო ზამთარში თითქოს მოსპობილმა ქურდ-ბაცაცობამ.

19 მარტს, ხშირს ბინდისას, როცა ლაფისყურის მცხოვრებთ ისევ ეღვიძათ, 6 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ამ სოფლის მემამულეს თავ. ალექსანდრე ჩოლაყაშვილს. მსუბუქად დასჭრეს. გაძარცვეს ისე, რომ წინდაც კი არ შეარჩინეს. თავდამსხმელთ წაიღეს ტანისამოსი, საგნები და ხატებიც კი. ნიღბიან ჩამოფარებულნი ყოფილან, ისე რომ თავ. ჩოლაყაშვილს ვერ უცვნია.

ჩასაკვირველია, მცხოვრებთ თუნდაც დროზე გაეგოთ, ვერაფერს უშველიდნენ, რადგან ამათ ცულის და ხანჯლის მეტი არაფერი მოეპოვებათ და უიარაღონი რას გააწყობდნენ.

ამ საქმის გამო ჩამოვიდა ბოქაული ყაზახებით ბოროტ მოქმედთა აღმოსაჩენად. მცხოვრებნი შეაფიქრიანა ამ გაძარცვამ, სოფელი არაფრით დასაჯონო.

# რუსეთი

✦ **განათლების დევნა.** „რუსეთის შეერთებულ თავად-აზნაურთა საზოგადოებების" კრებაზე, რომელიც ახლა სწარმოებს, ერთს ახლად მოვლენილ პობედონოსცევს შემდეგი უცნაური პროექტი წარუდგენია: სახელმწიფოს მოვალეობა არის—შექმნას კონტიგენტი განათლებულ პირთა კონსერვატიულის მიმართულებისა; რადგან ასეთებს მხოლოდ არისტოკრატია იძლევა, ამიტომ უნდა შეჩერებულ იქმნას სკოლის დემოკრატიზაცია; უნდა დაარსებულ იქმნან სასწავლებელნი ინგლისის კოლეჯის ტიპისა, სადაც სწავლის ფასი წელიწადში 500—1000 მანეთს უდრის; რევოლიუციის მოწინააღმდეგე ახალგაზდობა მოთავსებულ უნდა იქმნას ორ-სამ უმაღლეს სასწავლებელში, დანარჩენები კი უნდა დაიხუროს; აღარ უნდა დაარსდეს დაბალი სასწავლებლები, სანამ „მომზადებული არ იქნება შესაფერისი რიგი მასწავლებლებისა", და სხვა, იმ შენიშვნას, რომ ამ გზით გზა შეეკრება ხალხიდან გამოსულს ნიჭიერ ახალგაზდებს, პროექტის ავტორი ასე უარ-ჰყოფს: ნიჭიერი კაცი ყოველთვის გაიკვლევს გზას, მაგალითი—ლომონოსოვიო. გაზეთები არ გვაცნობებენ, როგორ მიეგება ამ პროექტს განათლების დახშობისას რუსეთის ბრწყინვალე თავად აზნაურობა...

✦ **პეშეხონოვის ბრალდება.** რუსეთის ცნობილ მწერალს ა. პეშეხონოვს ჩააბარეს ბრალდების ოქმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ იმან გამოსცა და გაავრცელა ხალხში ორი კრებული „სახალხო სოციალისტურ მიმოხილვისა", სადაც სხვათა შორის განმარტებულია პროგრამა მშრომელ სახალხო სოციალისტურ პარტიისა, პარტიის მომავალ მოღვაწეობის გეგმა და მთავრობის მიმართ საზოგადო მოთხოვნილებანი: სხვათა შორის მიწის დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია, მუდმივი ჯარის მაგიერ მილიციის შემოღება და სხვა.

✦ **ბეჭდვითი საქმის გამგეობის განკარგულება.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს პეტერბურგში ამ ბოლო დროს ხშირად მოსდის პროვინციიდან საჩივრები იმის გამო, რომ ადგილობრივი საცენზურო კომიტეტები სჯიან ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს სათათბიროში წარმოთქმულ სიტყვების დაბეჭდვისათვის. მალე მთავარ-გამგეობა განკარგულებით მიმართავს საცენზურო კომიტეტებს და განუმარტავს, რომ იმათ უფლება არა აქვთ აღნიშნულ მიზეზების გამო გაზეთი დაიჭირონ ან რედაქტორ-გამომცემელი პასუხის გებაში მისცენ; ხოლო ამასთანავე აღნიშნავს, რომ გენ-გუბერნატორების განკარგულებანი ბეჭდვითი საქმის გამგეობის უწყებას არ შეეხება, იმისგან დამოუკიდებელია.

✦ **საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ.** 3 აპრილს ფინლიანდიის ქ. კივენეპის სასამართლომ გაარჩია საქმე გერცენშტეინის მოკვლის შესახებ. ბრალდებულთა და მოწმეთაგან ვერც ერთს ვერ მიაგნეს და ბრალდებულთა სკამზე იჯდა მარტო ცნობილი ალექსანდროვი. საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ მკვლელობაში მონაწილენი პოლოვნევი და ლაპრიჩკინი შემდეგ ქურდობისათვის სამართლამდე იყვნენ მიცემულნი და სასჯელიც გადაიხადეს. ალექსანდროვს ბრალს სდებენ მხოლოდ, რომ ადმინისტრაციას არ აცნობა მკვლელობის მომზადება. სასამართლომ ხუთი თვით დატუსაღება გადაუწყვიტა ალექსანდროვს.

✦ **საგენერალ-გუბერნატოროების გაუქმება.** მთავრობა შეუდგა უკვე საკითხის განხილვას დროებით გენერალ-გუბერნატორობის გაუქმების შესახებ; გაუქმება, რუსეთის გაზეთების ცნობით, 20 აპრილს უნდა მოხდეს.

✦ **შეტაკება რიგის სატუსაღოში.** რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ ცნობებს რიგის სატუსაღოში პოლიტიკურ ტუსაღებისა და მოდარაჯე სალდათებს შორის მომხდარ შეტაკების შესახებ. მარტის 31-ს დილით სატუსაღოში თოფის სროლა ასტყდა. როგორც აღმოჩნდა, ოთხი პოლიტიკური ტუსაღი თავს დაესხა ზედამხედველს; წართვეს იარაღი, გააღეს მახლობელ ოთახების კარები, გამოუშვეს იქიდან პოლიტიკური ტუსაღები და ერთად თავს დაესხნენ მოდარაჯე სალდათებს, რომელთა ერთ ნაწილს იარაღი წაართვეს. მოხდა ხელ-ჩართული ბრძოლა სალდათებსა და ტუსაღების შორის. უკანასკნელნი დამარცხდნენ. მოკლულია შვიდა ტუსაღი და დაჭრილი 12. ციხის მცველთა მხრივ დაიჭრა უფროსის თანაშემწე, ზედამხედველი და 9 სალდათი. ტუსაღების აჯანყება მათი აუტანელი მდგომარეობით ყოფილა გამოწვეული.

✦ **უმაღლეს სასწავლებელთა გამგეების კრება.** უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლების კრებამ ამას წინად შეიმუშავა უნივერსიტეტის ახალი წესდება და წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად. მთავრობამ თავისი ცვლილებანი შეიტანა ამ წესდებაში, რომელთა მეოხებით გაძლიერებული იქნება უმაღლეს სასწავლებლებში მთავრობის კონტროლი. ახლად მოწვეულმა უმაღლეს სასწავლებლების გამგეებმა უნდა განიხილონ ხსენებული წესდება და ითათბირონ მათდამი მინდობილ სასწავლებელთა დღევანდელ მდგომარეობის შესახებ.

## თეატრი და ხელოვნება

**კონცერტი.** გუშინ-წინ, 8 აპრილს, ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ კონცერტი გამართა, რომელსაც საზოგადოება ბლომად დაესწრო. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა ბ-თ ჩაროვმა და ტომაშევიჩმა და ქ-ნთ ბალბაშევსკაიამ და ძნელაძეებისამ—დედა და შვილმა,—აგრეთვე ყაზახაშვილმა და ბ-ნმა ზ. პ. ფალიაშვილმა, რომელიც ლოტბარობდა ხორის და ორკესტრს. საზოგადოება ყველას დიდის გულხმიერობით მიეგება, განსაკუთრებით ბ-ნთ ჩაროვს, ტომაშევიჩს და ფალიაშვილს. შრომა ამ უკანასკნელისა ჩვენს სამუსიკო ასპარეზზე მართლა რომ ფასდაუდებელია. ხმების გადაღება და შემუშავება ხომ ისედაც დიდი საქმეა და ამას გარდა ხოროსა და ორკესტრის მომზადებაც დიდვე დროს ჰსაჭიროებს. ფალიაშვილი კი ყველა ამას დაუღალავად და პატიოსნურად უძღვება. საზოგადოებას ძლიერ მოეწონა, სხვათა შორის, „სამშობლო მელოდია" ბ-ნ ყარაშვილისა, ორკესტრისათვის დაწყობილი ზ. ფალიაშვილის მიერ და ამ უკანასკნელის მიერვე ნოტებზე გადაღებული „გოგონა" ორკესტრით.

—

**ბ-ნ ვალენტინოვის საოპერო დასის გასტროლები.** ამ დასის ქვა-კუთხედს შეადგენენ ქ-ნნი მედეა ფიგნერი და მარიამ გალვანი. მართალია, ამავე დასში მოიპოვება ორიოდე კიდევ საკმაოდ თვალსაჩინო მომღერალი, მაგრამ მათი სახელი ისე როდი ბრწყინავს, როგორც ზემოხსენებულ მომღერალ ქალთა. მედეა ფიგნერის დიდება, რაღა თქმა უნდა, წარსულს ეკუთვნის, მაგრამ ნაშთი ამ ძველის დიდებისა კვალად იმ ზომამდე ცხოველ-მყოფელია, რომ სინანული როდი გებადება,—აჰ, ნეტავი ეს შეუდარებელი მომღერალი წინად მენახა.

---

ძნა ასე ადვილია და მით უფრო მაშინ, როცა ამ ცოდნის საუკეთესო და უმდიდრესი დაწესებულება ცხვირ წინ აქვს ამართული.

ასე სცხოვრობენ „ტულიერისტები" და ოცნებობენ იმ დღეზე, როცა ისინი ვალებიდან განთავისუფლდებიან და საქმეს შეუდგებიან, მაგრამ მე მათი საქმიანობა როგორღაც მეფიქრება. სხვები ასე დაუდევრად და უთავბოლოდ არა ხარჯავენ ძვირფას დროს, მაგრამ არც ისინი ჩამორჩებიან „ტულიერისტებს" (ასე უძახიან ტულიეს ქუჩაზე მოსახლე ქართველები თავიანთ თავს). მარტო ერთი ფაქტი კმარა მათ საქმიანობისა და შრომის მოყვარეობის დასამტკიცებლად: თითქის 50 ქართველიდან სტუდენტად ირიცხება და უნივერსიტეტში დადის მხოლოდ 7 თუ 8 კაცი. დანარჩენები აგერ მთელი წელიწადია უნივერსიტეტში სიარულის დაწყებას აპირობენ და დღესაც მას მხოლოდ გვერდზე აუვლიან. მაგრამ ამაშიაც ყველას ვერ გავამტყუნებთ. პარიზში არის სამი თუ ოთხი ახალგაზდა, ნიჭიერი და შრომის მოყვარე ქართველი, რომელთაც ცოდნა და მუშაობა სწყურიათ, მაგრამ თავს ძლივს ირჩენენ და ფულს სად იშოვნიან, რომ სტუდენტად ჩაეწერნენ და სწავლა დაამთავრონ? მაინც მუშაობენ და იმედი აქვთ, რომ დღეს თუ ხვალ რომელიმე ქართული დაწესებულება სტიპენდიას მისცემს მათ, მაგრამ ჩვენებური დაწესებულება ასეთ ხალხს ყოველთვის გვერდს უხვევს, რადგან მათ არც ძლიერი პროტექე ჰყავთ და არც თავის მობეზრება იციან. ერთი ასეთი ახალგაზდა, გ—ია ეგრედ წოდებულ „კაბინეტში" სცხოვრობს, რომელსაც ფანჯარა არა აქვს და თუ დღისით უსანთლოდ შეჰხვედით შიგ, კისერს მოიტეხავთ. ეს კაცი თითქმის ყოველთვის მშიერია, ერთი სიტყვით, უკიდურეს გაჭირვებით ცხოვრობს, მეცადინეობს, შრომობს, დღე და ღამესასწორებს და მთელი წელიწადია სტიპენდიას ეძებს, მაგრამ—თათრულ ანდაზისა არ იყოს—მადა ვისა აქვს და ფლავი კი ვის უდგა წინაო! სტიპენდია და დახმარება ვის უნდა და ვინ იცის; ასეთსავე მდგომარეობაშია სამი თუ—ოთხი ქართველი, მაგრამ მშველელი არავინ არის.

პარიზში გავიცანი, სხვათა შორის, ორი ახალგაზდა, მექანდაკე ბ-ნი ნიკოლაძე და ბ-ნი რობაქიძე. ნიკოლაძეს საკუთარი პატარა ატელიე აქვს მონპარნასის ქუჩაზე და ხან გამოშვებით განთქმულ როდენთან მუშაობს. „საქართველოში მექანდაკე შიმშილით მოკვდება—მეუბნებოდა „ხევსურის" ავტორი, რომელმაც ამ ქანდაკებით უეჭველად დაამტკიცა თავისი ნიჭი,—აქ კი ვცხოვრობ კიდეც და ვსწავლობ კიდეც". ვნახე მისი რამდენიმე ნაწარმოები: მშვენიერი დიდი ბიუსტები ბ-ნ ლორთქიფანიძისა და რუსთველისა, პატარა და კოხტა ესკიზი „მაჩიჩი", „მცეკვავი ქალი" და ქვის ქანდაკება „ქარი", რომელსაც როდენმაც დიდი ყურადღება მიაქცია. ეხლა ბ-ნი ნიკოლაძე ნ. ბარათაშვილის ძეგლის იდეით არის გატაცებული და ელის, რომ ვინმე მისცემს სამისო მასალას და საშუალებას. მაგრამ მგონი ამას მალე ვერ მოვესწრობით: ეხლა ბარათაშვილისა და რუსთველის ძეგლებისთვის არავინ არც დროს გაიმეტებს და არც ხარჯს. სამწუხაროა, მაგრამ ეს ასეა.

ბ-ნი რობაქიძე წრეულს გაზაფხულზე ლექტორად მიიწვიეს პარიზის რუსულ სოციალისტურ სკოლაში, რომელსაც ამ ორიოდე წლის წინად პროფ. მაქსიმ კოვალევსკი ხელმძღვანელობდა. რობაქიძემ საგნად აირჩია ორი თემა: 1. ისტორიულ მატერიალიზმის კრიტიკა და 2. სოციალური სისტემა ლავროვისა და მიხაილოვსკისა—და ამ საგანზე აპირებს მთელი წლის განმავლობაში ლექციების კითხვას. ლექციების კითხვა სთხოვეს აგრეთვე მეორე ქართველს, ბ-ნ კამანდოორგიანს, მაგრამ მან შინაური შრომა არჩია ლექტორობას და უარი განაცხადა. ორგიანს ქართველური არა აცხია-რა, რადგან იგი ყოველ დღე სისტემატიურად 12—14 საათს მუშაობს, სერიოზულ მეცნიერულ ცოდნას იძენს, სხვასაც აწვდის მას და მის შრომას ნაყოფიერება ეტყობა, რაიც ასეთი იშვიათი მოვლენაა ჩვენში.

დასასრულ ერთ რჩევას მივცემ იმ ქართველ ახალგაზდობას, რომელიც საზღვარ გარედ აპირებს წასვლას სასწავლებლად: სანამ ამა თუ იმ ქალაქს აირჩევდნენ, კარგად ჩაუკვირდნენ თავიანთ ზნე-ხასიათს, ჩვეულებას და ძალ-ღონეს. თუ ისინი შეჩვეულნი არიან სისტემატიურ შრომას, თუ მოეპოვებათ საკმაო ძალ-ღონე თავიანთ თავის დასამორჩილებლად, თუ მტკიცე ხასიათი აქვთ და ადვილად არ ჩაჰყვებიან ევროპის დედა ქალაქების ქუჩის ხმაურობასა და ქარაფშუტულ ცხოვრებას, თამამად შეუძლიანთ თუნდ პარიზი აირჩიონ, თუნდ ბერლინი და თუნდ ვენა. აქ იპოვნიან თანამედროვე მეცნიერებისა, ტეხნიკისა და კულტურის ბუდეს, ცოდნის ყველა დარგის მუზეუმებს და მიიღებენ ყველა იმას, რის მოცემაც-კი შეუძლიან თანამედროვე კაცობრიობას და მის ცივილიზაციას. მაგრამ დაე გაფრთხილდნენ და ამ ქალაქებს მოერიდონ პირველ ხანებში მაინც ის ახალგაზდები, რომელთაც ხასიათი სუსტი აქვთ, ცხოვრებაშიაც გამოუცდელნი არიან და თავიანთ სიცოცხლეში ქუთაისისა და თბილისის გარდა არსად ყოფილან. ასეთი ახალგაზდები ძალიან ადვილად აჰყვებიან ხ ლშე სხვის ფეხის ხმას, უცებ ემორჩილებიან პირველ შთაბეჭდილებას და ივიწყებენ იმ საქმეს, რისთვისაც იყვნენ წასულნი ამ სიშორეზე და რაიც ასე ძვირად უჯდებათ მათ მშობლებსა და მახლობლებს. ისეთ პატარა და—პარიზ-ვენასთან შედარებით—მიყრუებულ ქალაქებში, როგორც ჟენევა, ციურიხი, მონპელიე, ლიონბენი, იენა, ლიეჟი და ბერნია, ძნელია ზარმაცობა, რადგან იქ საამისო არაფერია, რაც ახალგაზდა გამოუცდელს ასე ადვილად ითრევს დიდ ქალაქებში, და უსაქმობა მოსაწყენიც არის. რასაკვირველია, შრომის-მოყვარეობისა და უსაქმურობის უმთავრესი მიზეზი ეს არ არის, მაგრამ გარეგნულ პირობებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ და ამ პირობათა შორის ზემოხსენებულს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს.

**მადლი.**

ხალაც იგი ისევე მომხიბლავია, როგორიც, ალბად, ახალგაზდობისას იყო. მით უფრო პატივის ცემით იმსჭვალები მის მიმართ, როცა გაიხსენებ რა გძელი მანძილი გაუვლია მას ხელოვნების გზაზე, რომელიც ყოველთვის ვარდით როდია ხოლმე მოფენილი. როდესაც ისმენ ამ მომღერალ ქალის სიმღერას, თითქოს ეჭვი გებადება, რომ დრო—ეს ულმობელი მუსვრელი ყველაფრისა, რასაცკი სიცოცხლის ნიშან-წყალი მოსდგამს,—უძლურია დასძლიოს მისი ძლიერი ნიჭი მართალია დროთა-სვლას ნირი შეუცვლია ქ-ნ ფიგნერის ნიჭის ზოგი ერთი ძალთა მეტყველებისათვის, მაგრამ ის-კ ვერ მოუხერხებია, რომ შეჰხებოდა სულსა და გულს ამ ნიჭისას—ბუნების მგზნებარებას, ტემპერამენტს.

სხვისა რა გითხრათ და პირადად მე გატაცებული მოტრფიალე როდი ვარ ქალის ხმისა, რომელიც, ჩემის აზრით, გრძნობათა-მეტყველებაში მამა-კაცის ხმას ვერ შეედრება. ქალის ხმა,—რასაკვირველია, ჩემისვე აზრით,—უფრო ცივია, ნაკლებად მგზნებარე, ვიდრე მამაკაცისა. მაგალითად ორი თანასწორად შესანიშნავი მომღერალი-ქალი და კაცი—რომ შეადაროთ ერთმანეთს, უკანასკნელი უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას გამოიწვევს თქვენს გრძნობაში. მე ასე მგონია—იქნებ ვცდებოდე. არა ერთის შესანიშნავის მომღერალ ქალის სიმღერა მომისმენია, მაგრამ იშვიათი ყოფილა ისეთი წამი, როდესაც ჟრუანტელს დაევლოს მთელს სხეულში და მღელვარება ამშლოდეს, რაც ხშირად მიგრძვნია მომღერალ მამაკაცის სიმღერის მოსმენის დროს. და აი, ქ-ნი ფიგნერი სწორედ ამ გვარად, ე. ი. საამურად და ნარნარად მოქმედობს ჩემზე და, მგონი, ყველაზედაც. თითოეულ მის ამოძახილში ნაღდელი გრძნობაა ჩაქსოვილი. [illegible] სიხარულს თუ მწუხარებას, სიღოდეს თუ კაეშანს. ასეთს შესანიშნავს უნარს სიმღერისას [illegible] ხელს უწყობს [illegible] დრამატიული ნიჭი. თითოეული [illegible] თითოეული გამომეტყველება მისი თვალებისა, [illegible] ("ვალენტინას" ("ჰუგენოტები") და სხვა როლებში, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენ წინაშე ნამდვილი განხორციელებაა დიდ-ბუნებოვანი იდეალისა. სულ სხვა ჯურისაა ქ-ნი გალვანი. მისი სიმღერა არ კი გატკბობს, არამედ განცვიფრებას გგვრის, რადგან მომღერალი ქალი ისეთ სასიმღერო მალაყებს გადადის თვით უუმწვერვალესს ფარდებში, რომ მგონია,—ჩემ წინ ადამიანი კი არ არის, არამედ ჩიტია ან სამუსიკო საკრავიო. ხმა აქვს მეტად მოქნილი და არავითარ კრიმანჭულურ გრეხილს არ ერიდება, თამამად სძლევს და შენ კი პირღია შეჰყურებ ვით თვალთმაქცს, ან მოჩვენებას.

ბ-ნი ბონაჩიჩი (ტენორი) ძველი ნაცნობია ტფილისისა. იგი ამ რამდენისამე წლის წინად მღეროდა აქ თ. წერეთლის დასში და ახლა მოსკოვის დიდ სახელმწიფო თეატრის დასში ითვლება პირველ ტენორად. ხმა აქვს რიხიანი დაბალ და საშუალო ფარდებში. მაღალ ფარდებში კი შეკუმშული, ნაძალადევი. რუსეთის მომღერალთა შორის საუკეთესო აღმასრულებელია გერმანის როლისა „პიკოვაია დამაში". „გუგენოტებში" ჩემზე პირადად ვერ იქონია ძლიერი შთაბეჭდილება, რადგან ვერ მოახერხა სიძნელე რაულის პარტიისა, რომელიც ჰსაჭიროებს ბუმბერაზოვან ხმას. მეტის-მეტად მოხდენილი და ლამაზი გარეგნობა, ამასთანავე ნიჭი დრამატიულ მომენტების გადმოცემისა ხელს უწყობს და საზოგადოებას ძალიან მოსწონს.

ბარიტონები ბ-ნნი სოკოლსკი და აბრაზცოვი და ბასნი ბ-ნნი გორიანოვი და გვალტერო მოსსე, თუმცა განსაკუთრებულ მომღერალთა შორის არ ჩაირიცხებიან, მაგრამ საკმაოდ კარგნი და თვალსაჩინონი არიან. თვალსაჩინონი არიან აგრეთვე ქ-ნ მაკაროვისა (მეტო სოპრანო) და მეორე პარტიის აღმასრულებელია ბასი რიაბინოვი და ტენორი ლეტიჩევსკი.

წარმოდგენას ხალხი ბლომად ესწრება, თუმცა ფასები მეტის მეტადაა მომატებული. სეზონი 13 აპრილს დამთავრდება.

**ი.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ამას წინად თელავში ახლად მოსულმა ერთმა ნაცნობმა მთხოვა მეჩვენებინა მწერალთა იოსებ დავითაშვილის და ბ. ჯორჯაძის საფლავები. ერთად ვნახეთ და ჩემი ნაცნობი რამდენადაც აღტაცებაში მოვიდა სასაფლაოს ადგილ-მდებარეობით, იმდენად განცვიფრდა მისი აოხრებით. მართლა რომ აოხრებულია: სასაფლაოს ნაცვლად ჯაგ-მინდორს წარმოადგენს, ბილიკებიც კი არ არის არა თუ გზები, ისე რომ საფლავებზე უხდება კაცს სიარული. ყოველ ნაბიჯზე ჯაგი ჰხვდება, ადგილი შემოღობილი არ არის, ისე რომ ყოველთვის და მაშინაც საქონელი სძოვდა და ჰბილწავდა იქაურობას.

ამ რამდენისამე წლის წინად ამ სასაფლაოს გამამშვენიერებელი კომიტეტი შესდგა, რომელშიაც მღვდლები და ერის კაცნიც იღებდნენ მონაწილეობას. კომიტეტმა პირველად კარგად დაიწყო მოქმედება, ფულსაც ბევრი სწირავდა, ათ და ოც საჟენობითაც გალავნის აშენებას ჰპირდებოდნენ, შემდეგ ფულის მოკრეფაც დაიწყეს და... მორჩა. ამ კომიტეტს თავმჯდომარეობდა დეკანოზი მ. ხელაშვილი; შემდეგ საქმე გადაეცა თუ დაევალა, როგორც მახსოვს, მღვ. ივ. შიუკაშვილს, რომელთაც მივმართავ თხოვნით: გვაუწყონ მოკლედ საქმის ვითარება, კომიტეტი მოქმედებს თუ არა, რატომ გალავანს არ იწყობენ, რად და ვისთან არის მოკრეფილი ფული და რამდენი, სასაფლაოს დარაჯი ჰყავს თუ არა და თუ აღარც კომიტეტია და არც ჰპატრონობს ვინმე, მაშინ ადგილის ფასს 2 მან. და მეტს რაღად იღებენ ან რას ახმარებენ, და აპირებს თუ არა კომიტეტი მოქმედების განახლებას?

**ერთი მრევლთაგანი.**

—

გაზეთის „ისარი"-ს მე-72 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „კახეთის" მუშებისა. იგი, სხვათა შორის, მეც შემეხება, ამისათვის ნება მომეცით ორიოდე სიტყვით პასუხი გავცე.

1. თუმცა მე არასოდეს არ ვყოფილვარ საზოგადოების სარდაფში (რასაც მისაყვედურებენ მუშები), მაგრამ ეს ჩემთვის საჭირო არც იყო. საზოგადოების ყველა 162 წევრი ხომ ვერ ივლის სარდაფში მუშების თვალ-ყურის სადევნელად! ამისათვის გვყავს ამორჩეული გამგეობა და სარევიზიო კომისია; ამათგან კი გავიგეთ: ა) რომ მუშები 8 საათის მაგიერ 3-ზე მეტს არ მუშაობენ დღეში; ბ) სადილის შემდეგ მათთან არ ჩაისვლება, რადგან ნასვამები არიანო. ამ ცნობის შემდეგ მეცა ვთქვი და არც ეხლა ვიტყვი ამაზედ უარს: რაკი მუშებს ყოველი მოთხოვნილება შეუსრულეთ წარსულ მაისში და მათი ყოფა-ცხოვრება უკეთესად არის მოწყობილი, ვიდრე სხვა ამგვარ სარდაფში (გამგეობის ცნობით), ხოლო 8 საათის მაგიერ ჩვენი მუშები 3 საათს მუშაობენ და დანარჩენ დროს არაფერს არ აკეთებენ და საახალწლოდაც რამდენიც უნდოდათ, იმდენი ღვინო წაიღეს დაუკითხავად,—ამგვარი მუშები ფეხ-ქვეშ სთელავენ პატიოსან მუშების სახელს (რომელსაც მე თქვენზედ არა ნაკლებ პატივსა ვცემ) და ისინი მუშები კი არ არიან—მუქთა მჭამლები და პარაზიტები.

2. თუ ეს მართალი არ არის და მუშები დაამტკიცებენ, რომ ზარალის მიზეზი ისინი არ არიან, არამედ სარდაფის ადმინისტრაცია და „დრო გადასულ თავადების ადამის დროის სამუშაო იარაღი და სრულიად მოუწეს-რიგებელი სამუშაოს ტეხნიკური პირობებია", მე პირველი მუშების წინაშე ბოდიშს მოვითხოვ საზოგადოდ. და ჩვენს გამგეობას კი მაშინ ვთხოვ, აგვიხსნას, რად მოგვატყუა და რად მოგვახვევინა მუშებისათვის ეს უსაფუძვლო ბრალდება.

3. რაც შეეხება იმას, ვითომ „მუშების მოთხოვნების დაკმაყოფილება კი არა, საზოგადოებას უნდა უკვე არსებული პირობებიც კი წაგვართვას მუშებს", მე ამ აზრისა ვიყავი და ვარ კიდეც, რომ თუ მუშები თავიანთ მოვალეობას და პირობას პირნათლად შეასრულებენ, ყველა იმათი წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შესრულებულ იქმნას.

4. „საბრძოლველად" კი არ ამოვირჩიეთ კომისია, როგორც ამას მუშები თავზედ გვახვევენ, არამედ იმ აზრით, რომ გაეგოთ ნამდვილი მდგომარეობა საქმისა, ვინ არის დამნაშავე—მუშები თუ გამგეობა, ან მოუწყობლობა სარდაფისა, და მერე ამისდაგვარად გადაწყვეტილება მიეღოთ.

**ი. ე. ვაჩვაჩიშვილი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**9 აპრილი.**

**კიევი.** შაქრის ქარხანათა პატრონებმა კრებაზე დაადგინეს. რომ შაქარს ფასი მოუმატონ, ფუთზე თითო შაური.

**მინსკი.** მიწის მომწესრიგებელ კომისიის ნება-რთვით საგლეხო ბანკმა შეიძინა თავ. ვიტგენშტეინის მამული 50,000 დესეტინა სოფ. სმოლოვიჩში, თითო დესეტინა 60 მანეთად. ბანკს უნდა, რომ მამული გლეხებს მიჰყიდოს.

**ლოძი.** ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელებმა კრებაზე დაადგინეს, ნახევარი დღის გაფიცვით პროტესტი გამოაცხადონ იმ ხოცვა ჟლეტის წინააღმდეგ, რომელიც ხდება ამ ორი კვირის განმავლობაში. გაფიცვა მთელ ქალაქს მოედო,

**პეტერბურგი.** ლოძიდან მიღებული ცნობით, ერთი დღის განმავლობაში პარტიულ ნიადაგზე ათამდე კაცი მოუკლავთ და დაუჭრიათ,

**ჩერკასი.** ზლატოპოლის საარყე დუქნის მძარცველები გიმნაზიიდან გამორიცხული მოსწავლენი აღმოჩნდნენ.

**მოსკოვი.** საზღვარ გარედ გარდაცვალებულმა მილლიონერმა ლიდენცოვმა მოსკოვის უნივერსიტეტს და სატეხნოლოგიო ინსტიტუტს თითო მილიონი უანდერძა.

**ბრიანსკი.** სოფ. მალოე კოლკინოში მსხვილ მემამულეს ბიკოვს სახლში 12 შეიარაღებული კაცი შეუვარდა. გაიტაცეს 30,000 მანეთი.

**ვილნო.** არონოვიჩის ბანკის კანტორას 10 შეიარაღებული კაცი შეეჭრა. გაიტაცეს 400 მანეთი, ორი ყუმბარა გადააგდეს და გაიქცნენ: ერთი თავდამსხმელთაგანი დაიჭრა. სხვა არავინ არ დაჭრილა.

**სიზრანი.** ტუშნის მახლობლად უცნობებმა მოჰკლეს ფოსტალიონი და მეეტლე. გაიტაცეს უბრალო კორესპონდენცია. ფულიანი ყუთი კი ხელ-უხლებელია.

**ეკატერინოსლავი.** საღამოთი ხუთმა უცნობმა მოჰკლა გოროდოვოი. როცა მკვლელს მისდევდნენ, დაიჭრა უბნის ზედამხედველი.

**ლოძი.** ხოცვა-ჟლეტა საღამომდე გაგრძელდა. ფაბრიკის ქუჩაზე მოჰკლეს ერთი მუშა; დვორსკის ქუჩაზე კიდევ მოჰკლეს მუშა. 6 აპრილს შუადღისას გაფიცულებმა მეორე დილით მუშაობა განაახლეს. ებრაელთა უბნებში მშვიდობიანობაა. მუშათა კრებაზე გადასწყვიტეს როგორმე აღმოფხვრან ხოცვა-ჟლეტა. მიიღეს მთელი რიგი რეზოლიუციებისა, სადაც მკაცრად ჰკიცხავენ მხეცურ ხოცვა ჟლეტას. რეზოლიუციები ადგილობრივ გაზეთებშია გამოქვეყნებული.

**პოლტავა.** ღამე თავისს სახლში მოჰკლეს ებრაელი ბოგუსლავსკი, სასიკვდილოდ დასჭრეს მისი სტუმარი ჯარის-კაცი პინსკი. მკვლელმა ქუჩიდან ესროლა.

**სმოლენსკი.** რიაზან-ურალის რკინის გზის სოვკინოსა და დობრომინოს სადგურებს შუა სახალხო მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. მოკვდა ოთხი კაცი, დაშავდა—შვიდი.

**ლოძი.** შტეინერტის ქარხანაში მუშაობა მშვიდობიანად მიდის. ჩაეწერა 5800 მუშა.

**ნახიჩევანი.** ერევნის გუბერნიის მოსაზღვრე მაკინსკის სახანოში დიდი არეულობა მოხდა. ხანი პარლამენტის პარტიას არ დაემორჩილა. ამიტომ იგი გააძევეს და მისი სასახლე და ქონება დაიტაცეს. ხანი ერევანს ივლტოდა.

**პეტერბურგი.** კიშინოვსა და აკკერმანში გაძლიერებული წესები 1908 წლის 8 აპრილამდე გააგრძელეს.

**ლოძი.** ვიდზევის ქუჩაზე პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ერთი მუშა.

**ნოვოჩერკასკი.** ჩხრეკის დროს დაიჭირეს: მინეოგრაფი, 3 რევოლვერი, 200 ოქმი გლეხთა საოლქო კრებისა. დააპატიმრეს 10 კაცი.

**ლოძი.** საზოგადოების თვალწინ ნაშუადღევის ორ საათზე ვიღაც ორმა უცნობმა რევოლვერით მოჰკლა სკოლიდან შინ მიმავალი პოლონურ გიმნაზიის მასწავლებელი გრეინერი. მკვლელნი მიიმალნენ.

**პოლტავა.** ელეცკის პოლკის ჯარის კაცთა აჯანყების საქმეს სამ დღეს არჩევდნენ. საქმის გარჩევა გათავდა. 67 კაციდან 10 კაცი გაამართლეს, 17-ს გადაუწყვიტეს გამასწორებელი ბატალიონი ერთიდან 3 წლამდე. ზოგს უფლებაც ჩამოართვეს.

**იუზოვკა.** მელიტოპოლის მაზრის სოფ. ზნამენკაში ხუთი შეიარეღებული კაცი სახლში შეუვარდა ივანოვს. ივანოვი მოჰკლეს, მისი ცოლი სასიკვდილოდ დასჭრეს, 1000 მანეთი გაიტაცეს და მიიმალნენ.

**ლოძი.** ხოცვა-ჟლეტის მოსპობის საქმეზე მოსალაპარაკებლად მუშათა ორგანიზაციებმა მთავრობას მიმართეს. რომ 11 აპრილისათვის ნება-დართოს გამართონ მუშათა უპარტიო კონფერენცია.

**ვაშინგტონი.** ნიკარაგუასა და სალვადორის რესპუბლიკებს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდა.

**მანილა.** დაიწვა დაბა ილიოლო. 2000 კაცი უსახლ-კაროდ დარჩა. ფილიპინეს კუნძულებზე მიწა იძრა.

**პეტერბურგი.** საღამოს ათ საათზე გემი «არხანგელსკი», რომელსაც ხალხი მდ. ნევაზე გადაჰყავდა, ოხტასა და სმოლის შუა მცურავ ყინულს დაეჯახა და საჩქაროდ ჩაიძირა. 15 კაცი გადარჩა, 50 დაიღუპა. მგზავრები უფრო მუშები იყვნენ. გადარჩენილთ შორის არიან მემანქანე და გემის კაჩეგარი. ჯერ ჯეროვით ორი დამხრჩვალის გვამი ამოიღეს. გემი შიტოვს ეკუთვნოდა. უბედურების მიზეზი გემის სიმძლე იყო.

**რეშტი.** ენზელიდან მოსულს ათაბეგაზამს ხალხი სიკვდილს დაემუქრა და ათაბეგი იძულებული შეიქნა ისევ გემში ჩამჯდარიყო.

**პეტერბურგი.** შეტაკება მოხდა „ტყის მმებად" წოდებულთა რაზმსა და კაზაკებს შორის. ერთი კაზაკი მძიმედ დაიჭრა, ორი მსუბუქად. ოლშტინაში, ვარშავის მახლობლად, მოჰკლეს საეროზო დარაჯი. ორისო-გლებში მოჰკლეს პოლიციელი.

**ტამბოვი.** სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სიმეონი ლოცვის შემდეგ შინ მიდიოდა. სემინარიის ეზოში ვიღამაც რევოლვერი ესროლა და მძიმედ დასჭრა ზურგში.

**ვორონეჟი.** საღამოზე აბანოდან შინ მიმავალ ჟანდარმს რევოლვერი ესროლეს და მოჰკლეს. მკვლელნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** დასრულდა უმაღლეს სასწავლებებელთა უფროსების კრება. უკანასკნელ სხდომაზე ითათბირეს უნივერსიტეტში კრების გამართვისა და თავისუფალ მსმენელებს შესახებ. უნივერსიტეტის კრებაზე გარეშეთა დასწრება შეუძლებლად სცნეს. მათის აზრით, პოლიტიკურ კრებებს მიმზიდველი ხასიათი დაეკარგა. სტუდენტთა კრებების შესახებ არაფერი დაუდგენიათ. ეს საქმე ადგილობრივ საბჭოებს მიანდეს. მინისტრმა სურვილი გამოსთქვა. რომ უფლებით მოსილი თავისუფალი მსმენელი ვაჟები ნამდვილ სტუდენტებად იქმნენ ჩარიცხულნი. ქალებს კიდევ თავისუფალ მსმენელებად შესვლა უნდა გაუადვილდესო.

**მოსკოვი.** მოსწავლის ფორმაში გამოწყობილმა მძარცავთა ბრბომ, რომელშიაც ახალგაზრდა ქალებიც ერივნენ, გაატარეს მოედანზე გაძარცვა ფინლიანდიის მოქალაქე [illegible]. წაართვეს 350 მანეთი. სტრასნი მოედანზე გლეხს ბელიაევს წაართვეს 3000 მანეთი.

**ტოკიო.** იაპონიამ გადასწყვიტა ჯარში შორს მსროლელი ზარბაზნები შემოიღოს. თითო ზარბაზანი მოწყობილობით ეღირება 20,000 იენი და გაისვრის ტყვიას 7800 მეტრის სიშორეზე.

**ეკატერინოსლავი.** სამთო სასწავლებელი გაჩხრიკეს. დაიჭირეს 23 კაცი და 8 ქალი.

**სოსნოვიცი.** მოჰკლეს საზღვრის სადარაჯოს ჯარის კაცი; ქუჩაში მოჰკლეს მუშა. მკვლელნი მიიმალნენ.

**თეირანი.** პარლამენტს მოხსენდა, რომ ნაციონალურმა ბანკმა იმდენი თანხა შეაგროვა, რამდენიც მთავრობის სესხისთვის არის საჭირო, მაგრამ შაჰმა ბანკთან შეთანხმების დამტკიცება არ ინდომაო.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი




ზ ე დ ა მ ხ ე დ ვ ე ლ ი

## კომიტეტი

**ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა.**

თავის წესების მე-91 §-ის ძალით, აუწყებს ხსენებულ ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა წლის 17 მაისს, დილის 10 საათისთვის, ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩა, ქ ტფილისი), **დანიშნულია საზოგადო კრება.**

**განსახილველი საგნები:**

1. ბანკის მოქმედების ანგარიში 1906 წელს და მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.
2. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლისათვის.
3. წესდება ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასსისა.
4. მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ პარაგრაფთა შეცვლის შესახებ.
5. მოხსენებანი ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის განსაკუთრებულ კომისიის მოქმედებათა შესახებ 1906 წელს.
6. ინსტრუქცია ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობისა.
7. ბანკის გამგეობის წევრად ნამყოფის თავ. ივ- გიორ. მაჩაბლის ოჯახისთვის პენსიის დანიშვნის საქმე.
8. არჩევა თანამდებობის კაცთა, სახელდობრ: გამგეობის თავმჯდომარისა თავისუფალ ადგილზე და გამგეობის ერთის წევრისა, ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძის ნაცვლად, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, გამგეობის წევრის ერთის კანდიდატისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, თავ. გ. ი. რაშვილისა და ს. ნ. ყაზაშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, და ორი მათის კანდიდატისა.

**შენიშვნა:** რწმუნებულთა კრება შესდგება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დიესწროს. (3—5.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.
**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ფ. ი. ზაპანოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.
**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**გ. ი. გელაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.
**ა. ი. შჩერბინინა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
(150—ხალ.—61)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა
ფეხსაცმელების სახელოსნო

## „იმედი"

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.
სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (0)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.
აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:
შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს", საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.
შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ „**ხვრამთან**". ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან"**. (50—751—31


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.